სახალხო გაზეთი

№ 615 კვირა, 3 ივნისი, 1912 წ. № 615

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს   მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

,სახალხო გაზეთი''-ს რედაქცია მკითხველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ განსვენებულ

იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად პანაშვიდები

დღეისწორამდე იქნება ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საღამოს 8 საათზე. (1—1)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ **„განათლების" რედაქცია** აცნობებს მკითხველებს ჩვენი ცნობილი პედაგოგის საზოგადო მოღვაწის

იაკობ გოგებაშვილის

გარდაცვალებას, ივნისის 1-ს ნაშუადღევის 6 საათზე. დასაფლავება მოხდება კვირას 10 ივნისს დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ „საზოგადოების" საპატიო წევრის

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის

დაკრძალვა დანიშნულია 10 ივნისს, კვირას. წირვა და ანდერძის აგება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 8 საათზე. (7—1)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის",

25 ცალი 15 კ. და 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ, № 42.

(100.1036.53)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საოპერაცი. (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman**-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,6 0 6'' **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—350/

ქუთაისში

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, სხრილი და ინდოეთის ღერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პაროპოი) ახალის სისტემისა და სარეცხის მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერ. მანქანა ,,ტორპედოსი'',** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.10)

ქუთაისში

დაარსებულია 1904 წ.

სანატორიუმი

მთის ხადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

და საზაფხულო სამყოფი

ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.**

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭლების ციებით დაავადმყოფებულნი.

არ მიიღება ჭლექით დაავადმყოფებულნი,

(25.1291.9)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ. **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოთი 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 307)

ტფილისის კანტორა

პროვაკის მრეწველობის სააქციონერ. საზოგადოებისა

ვიკანდერ და ლარსონ,

გოლოვინის პრ., № 9. — ტელეფონი № 490.

ლიბავის ლინოლეუმი

საუკეთესო იატაკის მოსაფენად.

სამაგიდო კლეონკა,

პრობკები,

კაპსულები.

(4.1264.4)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quar o.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.1)

---

3 ივნისს, კვირას, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია

წლიური კრება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოებისა.

განსახილველია:

1. 1911 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1911 წ. ანგარიშის შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება 1911 წლის საზოგადო კრების დავალებათა შესახებ.
4. გამგეობის მოხსენებანი: შესახებ სოხუმის განყოფილებისათვის სესხისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა.
5. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლისა.
6. ახალი წევრების მიღება.

(3—1285—3)

ქუთაისი

ქუთაისში

რკინეულობის სავაჭრო

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.[illegible]0) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

სამუსიკო სკოლისათვის

1 სექტემბრიდან რამდენიმე წლით

საჭიროა ორი სადგომი

ექვს-ექვს ან შვიდ ოთახიანი; თუ ორი არა **შეიძლება ერთი მაინც** 1, 2 ან 3 უბანში. პირობების ცნობა შეიძლება სამუსიკო სკოლაში: ტფილისი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოება: საპიორის ქუჩა სახლი № 18. (3.1301.2)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 176)

ტფილისის ქართული

ფილარმონიული საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 3 ივნისს დილის 12 საათზე, „ახალი კლუბის" დარბაზში.

განსახილველია: 1) 1911 წლის ანგარიში, 2) 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევა და 4) ახალ წევრთა არჩევა. რადგანაც ეს კრება მეორეა, ამიტომ კრება უსათუოდ შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3. 1245. 3)

Adresse Télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ

ТИФЛИСЪ. БАКУ. БАТУМЪ.

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

წებოიანი ქაღალდი

ბუზების წინააღმდეგ

,ტენგლფუტ."

(1—1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

სამეურნეო წიგნები:

	მ. კ.
ამერიკული ვაზით ვენახის გაშენება, ს. ქვარიანისა. ფასი	— 5
ახალი საუკეთესო წესი ვენახის გაშენებისა, მისივე. . . .	—10
გონიერი მოვლა-მოშენება შინაურ ფრინველ. ი. როსტომ.	—15
კანონი შესახებ ვენახის ყველა სენთა წინააღმდეგ. გამ. „მოს."	— 15
ვაზის მოვლა-მოშენებ. და ღვინის დაყენება, ა. დარეჯანაშ.	—15
მეურნ. და ახალი სკოლა ი. როსტ.	— 5
მოკლე დარიგება როგორ უნდა მოვლა და წამლობა ყაჭის ჭიას, ბ. კარაბეგოვისა . .	—20
მოკლე დარიგება ხეხილის გამრავლებაზე, არჩ. დარეჯანაშ.	—20
მეაბრეშ. პირველი ამხ. ქუთაისში და მისი საქმეები, ნ. წერეთ.	— 5
ნაყოფის ჭია, ქარცივაძისა .	— 5
პურ. ბოსტ. ჩინურ. წეს., როსტ.	— 7
საუნჯე მეურნეობისა, არ. დარ.	- 15
საზოგად. მიწათ-მოქმ., მ. ზაალ.	—20
საზოგ. ზოოტეხნია, მ. ზაალიშვ.	—25
რძე და მისი სხვა და სხვა რიგად გამოყ., პროფ. პეტრიაშ.	1 50
ფუტკარი და მეფუტკრ., აპ. წ.	—80
ფუტკ. გონიერ. მოვლ.-მოშ. ა. დ.	—10
ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარ., ა. სალარიძისა	—15
შინაური საქონელი და მისი მოვლა-მოშენება, ი. როსტომაშ.	— 5
ხეხილ. გამრავლ. და მოვლა, ი. რ.	— 7
ხეხილ. დარგ. და მისი მოვ. ა. დარ.	—20
Сельско хоз. замѣт., Л. М Эрист.	—15

ადრესი: Тифл. О-во распр. грамоти. сред груз. насел. (წ. 1141.56)

ბაკურიანში.

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მოწაფეებს მთელი ზაფხულის განმავლობაში საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის იქვე ასწავლის **ახალ ენებს** სპეციალისტი. მოლაპარაკება შეიძლება 5 ივნისამდე ქუთაისში, კაუხჩიშვილის საქალებო კერძო გიმნაზიაში, შარაშიძის სულთან; 5 ივნისს შემდეგ—ბაკურიანში, შარაშიძესთან. (3—1299—2)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—27)

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიანავადმყოფთ** ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიახამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606"-ით.

(წლ.—1018—280)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.- ორშაბ., ოთხშ., პარას., კვირაობით 4—5 ს.
გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ, შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—1. ს.
გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—1).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—102)

ექიმი მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ., სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. დებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—169)

ექიმი პ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ. № 67. სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7—ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ივ. გომართელი მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.10.)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—48)

ექიმი კბილისა **ა. (გ.) გ. დოლიძე** **გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2 ს.-მდე და საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.43)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.117).

ტფილისი, 3 ივნისი.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.

გარდაიცვალა იაკობ სვიმონის ძე, ერთგული დარაჯი სამშობლო ენისა. განა საჭიროა კიდევ მტკიცება იმისა, თუ რა იყო ჩვენთვის იაკობ სვიმონის ძე? რამდენი თაობა აღიზარდა მის სახელმძღვანელოებზე, რამდენს იბრძოდა განსვენებული, რომ სამშობლო ენისთვის მიეჩინათ სკოლებში ის ადგილი, რომელსაც საღი პედაგოგიური პრინციპები მოითხოვს? მთელი მისი ღრმა საზოგადოებრივი შინაარსით სავსე ცხოვრება იყო დაუსრულებელი ბრძოლა ქართულ ენისთვის, ქართულ სკოლისთვის. ებრძოდა იგი ქართულ ენის შინაურ მტრებს, რომელთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება ჩვენში, ებრძოდა გზა-კვალ აბნეულ მასწავლებლებს, ებრძოდა მოხელეებს, რომელნიც, პოლიტიკანურის მიზნით, ცდილობდნენ გაექარწყლებინათ მნიშვნელობა კანონით მიცემულ უფლებებისაც კი. მთელი საქართველო, მიყრუებული სოფლები, სადაც კი სკოლა არსებობს და სადაც ისმის ქართული ენა,—ყველგან იგრძნობენ ჩვენს დანაკლისს და ყველგან გამოითქმება გულის სიღრმიდან ამოხეთქილი მწუხარება იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

განსვენებულის სახელის პატივისცემას ყველა შეეცდება. მაგრამ საუკეთესო პატივისცემა საზოგადოების მხრით ის იქნება, თუ მან მოახერხა და განაგრძო ის დიდებული საქმე, რომელიც განსვენებულმა დაიწყო; საუკეთესო პატივსცემა იქნება, თუ ქართველი საზოგადოება ისეთსავე ერთგულ დარაჯად დაუდგა ქართულ ენას, როგორიც განსვენებული იაკობ გოგებაშვილი იყო.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

კამათი გამოიწვია კანონ-პროექტმა, რომლის ძალითაც ბალტიის მხარეში არსებული მართლმადიდებელთა სკოლები სინოდის ხელში უნდა გადვიდეს და ფული უნდა გადაიდოს მათ შესანახად.

კანონპროექტი 109 ხმით 84 წინააღმდეგ კომისიის უმცირესობის რედაქციით მიიღეს: ფული გადაიდოს, მხოლოდ სკოლები კი ისევ განათლების სამინისტროს ხელში დარჩეს.

ამიერ კავკასიის დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება.

განსახილველია ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების კანონპროექტი მემამულეთა დამოკიდებულებისაგან.

საადგილ-მამულო კომისიის მოხსენებელი ხარლამოვი.

კანონპროექტს მიზნად აქვს აღნიშნულ გუბერნიებში ბატონ-ყმობის ნიშთები გააუქმოს. საადგილმამულო, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ უცვლელად მიიღო კანონპროექტი, ისე როგორიც მთავრობამ შემოიტანა. შემდეგ მოლაპარაკე შეეხო ამიერ კავკასიის მიწათმფლობელობის საქმეს და აღნიშნა: პროექტს საფუძვლად უდევს გამოსყიდვის პრინციპი, 1861 წლის 19 თებერვლის დებულების მსგავსადაო.

ჩხეიძე. სათათბიროს წევრთა საკანონმდებლო მოსაზრებასა, მთავრობისა და კავკასიის ადმინისტრაციის პროექტ შორის დიდი განსხვავება გახლავთ. პირველნი ჰფიქრობდნენ, რომ კავკასიის გლეხობა ვალდებული არ არის კიდევ დახარჯოს და გაიღოს რამე ამ საქმისათვის. მთავრობის კანონ-პროექტით კი კავკასიის გლეხობამ კავკასიისავე თავად-აზნაურობის სასარგებლოდ უნდა გადაიხადონ 24 მილიონი. თუ კავკასიის ადმინისტრაციას ცოტათი მაინც ეინტერესება კავკასიის მცხოვრებთა სიკეთე, უეჭველად მხარი უნდა დაუჭიროს საკანონმდებლო მოსაზრების ავტორებს. დაე, ეხლა რუსეთმა და კავკასიამ განსაჯონ, ვისი აზრი უფრო გონიერი და სასარგებლოა ადგილობრივ მცხოვრებთა და სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალით რო შევხედოთ. (მემარცხენეთა ტაში).

ხასმამედოვიც გაუკვირვებია პროექტს. კავკასიის გლეხობა, თუ სამართლიანობის დაცვას მოინდომებთ უნდა განთავისუფლოთ ყოველგვარ ხარჯისაგან და გამოსასყიდი ფული ხაზინამ უნდა გადაიხადოსო. მოლაპარაკე შეეხო კავკასიის მიწათმფლობელობის ისტორიას და ზემოხსენებული აზრის სამართლიანობას ამტკიცებდა (მემარცხენეთა ტაშია).

სალათელიანი მოითხოვს, ცოტას მაინც დაეხმაროს გლეხობას მთავრობა, თორემ მთლად გატყავდებიან და მთავრობისათვის ვერ არის ხელსაყრელი, თუ გლეხები გადასახადთა მიცემას ვეღარ მოახერხებენო. მოლაპარაკემ აღნიშნა, თუ კი სხვისი უფლება აღიარეთ, რატომ ეჩმიაძინის მონასტრის უფლება არ მიიღეთ მხედველობაში და მისი ქონების ექსპროპრიაციასაც კი აპირებთო. ასეთი მოპყრობა სომხეთა ეკლესიისადმი სახელმწიფოებრივ თვალ-საზრით უარსაყოფია და ვერ არის შორს გამჭვრეტ პოლიტიკის ნაყოფი (მემარცხენეთა ტაში).

ტიმოშკინი კმაყოფილ ია, მხოლოდ იმას გაუკვირვებია, სომხეთა ეკლესია რად უნდა იყვეს უკეთეს პირობებში და მისი ქონების ლიკვიდაცია რად უნდა იყოს უფრო ხელსაყრელი, ვიდრე რუსის ეკლესიისა.

ჰაიდაროვი მოითხოვს, დროებით ვალდებულ გლეხთა მემამულეთ დამოკიდებულება მოსპე დაღისტანსა და ზაქათლის ოლქშიაცაო.

თ-დი შერვაშიძე. იმედია, სათათბირო ქართველობას ისეთისავე ყურადღებით მოექცევა, რანაირადაც რუსის გლეხობას ექცევაო. შარვაშიძე მოითხოვს, დროებით ვალდებულ გლეხთა საქმე ხაზინის ხარჯით მოგვარდესო.

ბულკინი სიხარულით ეგებება ამიერ-კავკასიის გლეხთა ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებას.

კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენილი, ტყუილია, ვითომც კავკასიის მთავრობა სცდილობდეს კავკასიაში პატარა ბატონ-ყმობის დატოვებას. მინისტრთა საბჭოში უკვე არის კანონ-პროექტი, რომელიც კავკასიაში ბატონ-ყმობის ნაშთთა მოსპობას ეხება. ჩვენის აზრით უსაფუძვლოა შარვაშიძის ჩივილი—გამოსასყიდი მიწა ვერ არის რიგიანად დაფასებულიო. სამოციან წლებში რუსის თავად-აზნაურობამ უფრო მეტი მსხვერპლი შესწირა ქვეყანას და პატრიოტიზმი გამოიჩინა. მე მგონია, ამგვარსავე პატრიოტიზმს გამოიჩენს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა. კანონპროექტი კავკასიელებს ნებას მისცემს საკულტურო გზაზე სიარულისას და ხელს შეუწყობს მის აყვავებასაო.

მომხსენებელი ხარლამოვი მოითხოვს: მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ და სწრაფად განვიხილოთ პროექტიო.

კოვალენკო პირველი მხარს უჭერს კანონ-პროექტს საბიუჯეტო კომისიის სახელით.

კანონ-პროექტი მიიღეს მუხლობრივ განხილვის შემდეგ კომისიის დასკვნით.

მიიღეს საადგილ-მამულო კომისიის მოსაზრება დაღესტანსა და ზაქათალის ოლქში დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულების მოსპობის თაობაზე.

მიიღეს აგრეთვე მოსაზრება კავკასიაში სასერვიტუტო ურთიერთობის მოსპობისა და საკანონმდებლო მოსაზრება ხიზანთა მდგომარეობის გამორკვევისა.

მიიღეს კიდევ სამი კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა 2 ივნისს მოხდა.

სახელმწიფო საბჭო

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

უკამათოდ მიიღეს სარედაქციო შესწორებით კანონპროექტი, რომელიც ეხება რკინის გზათა მოსამსახურეთა, ხელოსანთა და მუშათა უბედურ შემთხვევის დაშავების დროს ფულის მიცემას.

მე-19 მუხლის გამო უთანხმოება აღმოჩნდა საბჭოსა და სათათბიროს შორის და ამიტომ კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

შემდეგ საბჭომ მიიღო ამიერ-კავკასიაში საერობო გადასახადთა განაწილების კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა მოხდა 2 ივნისს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ტფილისში გარდაიცვალა მოხუცი ქალი ბალდასაროვისა, რომელმაც კავკასიის უნივერსიტეტს ანდერძით ორასი თუმანი დაუტოვა. ამას გარდა დასტოვა სამასი თუმანი სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმისთვისა

✦ დღეს, 3 ივნისს, გენერალ შატილოვის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა) გახსნიან იმ ყულაბებს, რომელშიაც შეგროვილია ფული სახაზინო და კერძო დაწესებულებებში მოთავსებულ უსინათლოთა სასარგებლოდ.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულს ქალთა კომისიას** ფულის შესაგროვებლად ჰქონდა 97 ცალი შაურიანი წიგნაკი 485 მანეთისა. რამდენიმე წიგნი გაიყიდა და წ.-კითხვის საზოგადოებას ჩაბარდა 406 მან. 45 კ. დაბრუნებულ იქმნა 39 მ. 40 კ. გაუყიდავი წიგნაკი. დასაბრუნებელია 8 წიგნაკი, რომელნიც დარჩენილია შემდეგს პირებზე: სოფიო რომანიშვილ-დგებუაძეზე (ორი წიგნი), კნ. მაყაშვილთან (2) სვიმონ მდივანთან (1), ივანე ხუნდაძესთან (1), ბორის ესაძესთან (1) და რაისა ჩიხლაძესთან (1). ხსენებულ პირთ კომისია სთხოვს, წიგნაკები მოკლე ხანში დააბრუნონ, რადგანაც ეს საჭიროა სრულის ანგარიშის შესადგენად.

ამავე **ქალთა კომისიამ** გააკეთებინა ორასი დასურათებული ახალი წიგნაკი. ხარჯი იკისრა კონსტანტინე ივანეს ძე მესხიშვილმა, რომელსაც კომისია გულითად მადლობას უხდის. ახალ წიგნაკებით დღემდე კომისიამ 15 მან. 55 კაპ. შეაგროვა. ფულის შეკრების მსურველთ წიგნაკების მიღება შეუძლიანთ ყოველდღე ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში.

✦ წელს ტფილისის **საოსტატო ინსტიტუტი** დაასრულა 26 კაცმა, მათ შორის სამი ქართველია: ი. ქარუმიძე, ანტონ სულამანიძე და ა. სულაძე.

✦ **ოქმები მეპურეებზე.** ყველა ხარისხის პურის არ გამოცხობისათვის გუშინ ოქმები შეუდგინეს შემდეგს მეპურეებს: 1) სამსონ ისაკაძეს (ამას მეორე ოქმიც შეუდგინეს, რადგანაც სწორე სასწორი არ აღმოაჩნდა), რომელიც მოსკოვის ქუჩაზე, ენიკოლოფოვის სახლში ვაჭრობს, 2) ივანე ნასარიძეს, რომელიც ოლგას ქუჩაზე, ავეტისოვის სახლში ვაჭრობს, 3) ტიმოთე უთმელიძეს, რომელიც ოლგას ქუჩაზე, მაჩაბელის სახლში ვაჭრობს, 4) ლეონტი გოშაიძეს, რომელიც ყაზბეგის ქუჩაზე, ბაზალოვის სახლში ვაჭრობს, 5) ილია გოშაძეს, რომელიც მოსკოვის ქუჩაზე, ენიკოლოფოვის სახლში ვაჭრობს, 6) საჩინო გაგნიძეს, რომელიც ოლგას ქუჩაზე, არამიანცის სახლში ვაჭრობს და 7) ალექსი ტაბუცაძეს, რომელიც ოლგის ქუჩაზე, არღუთინსკის სახლში ვაჭრობს.

✦ **ფარულად საქონლის დაკვლისათვის** გუშინ ოქმი შეუდგინეს ყასაბს გრიგოლ ოჰანეზოვს, რომელიც ოლგას ქუჩაზე, ტერ-მათევოსოვის სახლში ვაჭრობს. ხორცი ქალაქის სალახანში გაგზავნეს, სადაც საჭმელისთვის უვარგისი აღმოჩნდა.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 4 ივნისს მოხდება. საბჭოს განსახილველად იმდენად ბევრი საქმე (45) მოუგროვდა, რომ, ჰფიქრობენ, ბევრი მათგანი განუხილველი დარჩება მომავალ შემოდგომამდე.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. სასულიერო სემინარია** წელს 19 კაცმა გაათავა. ყველა ქართველია გარდა ორისა. ამათში ორს მოსწავლეს ბაკურაძესა და ბეგიაშვილს სახაზინო სტიპენდია ეძლევა სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. დანარჩენ მოსწავლეთაგანაც 12 კაცი სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მიდის.

✦ **წლიური აქტი დედათა საეპარქიო სასწავლებელში** 30 მაისს იქმნა გამართული. პარაკლისის გადახდის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ინოკენტიმ მეექვსე კლასის კურს დამთავრებულ მოსწავლე—ქალთ თავის ხელით ატესტატები დაურიგა, ხოლო მერვე საპედაგოგიო კლასში კურს დამთავრებულთ—მოწმობები, ამის შემდეგ მოსწავლეთ ექსარხოსმა შესაფერის სიტყვით მიმართა. დასასრულ დეპეშა გაუგზავნა სასწავლებლის საპატიო მზრუნველს, ნამესტნიკის მეუღლეს გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისას.

სასამართლო.

✦ **გაზეთ „ბაკუ“-ს რედაქტორი ქრ. ვერმიშევი** უკვე განთავისუფლეს ასის თუმნის თავდებით.

✦ **გაზეთ „სინათლის“ რედაქტორი ივ. პავ. როსტომაშვილი,** რომელსაც პალატამ გადასახლება მიუსაჯა, ამ ჟამად ციხეში ზის. რადგანაც სენატმა პალატის განაჩენი გააუქმა და საქმე ხელმეორედ გასარჩევად ცელავ პალატას დაუბრუნა, ამიტომ აღძრულ იქმნა შუამდგომლობა, რათა რედაქტორი ი. როსტომაშვილი თავდებობით განთავისუფლონ.

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ** ქუთაისი, ბათომი და გაგრა მოიარა და ტფილისს დაბრუნდა.

გორი

✦ წელს გორის **საოსტატო სემინარია** დაასრულა 17 კაცმა: 4 თათარია, 1 რუსი, 3 სომეხი, 3 ბერძენი, 6 ქართველი. ამათგან 3 ქართველია, 1—სვანი და 2 აფხაზი, მათი გვარები: იასონ ფავლენიშვილი, მატბერიშვილი, მიქაბერიძე, ნავერიანი (სვანი), შაგირბაია (აფხ.) და სეკანია (აფხ.) კურსდამთავრებულნი ამ დღეებში **საექსკურსიოდ** პეტერბურგს მიემგზავრებიან.

ქუთაისი.

✦ ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი“-ს გამგეობა მადლობას უძღვნის ქუთ. დრამატ. საზოგადოებას 31 მაისის საზოგადო კრებისათვის თეატრის უფასოდ დათმობის გამო და ქ-ნ ლაღიძისას—ნახევარ ფასად თეატრის განათებისათვის.

✦ საკომერციო განათლების გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე თანამდებობის პირნი აირჩიეს. საზოგადოების თავჯდომარედ აირჩიეს ი. ე. გამყრელიძე, გამგეობის წევრებად: მ. ა. ზდანოვიჩი. ვ. ს. ლიუბატოვიჩი, კ. ფაგანი, ლვდ. [illegible] და მ. დ. [illegible].

✦ კვირას [illegible] ივნისს, [illegible] თეატრში ქალ. ჩარკვიანის თაოსნობით, გაიმართება ჩვეულებრივი საბავშო სალიტერატურო დილა. სხვათა შორის შესრულებულ იქნება პიესა „ყვავილთა შორის“ და მუსიკალურ განყოფილებაში მონაწილე ბავშვები დაუკრავენ როიალზე, ჰიანურზე და სხ. („კოლხიდა“).

იაკობ სვ. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

გუშინ, 2 ივნისს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის შენობაში მხცოვან პედაგოგისა და სახელგანთქმულ მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო საგანგებო თათბირი ჰქონდათ განსვენებულის მოღვაწის ნების ამსრულებელთ. კრებას ქართველ საზოგადოების წარმომადგენელნიც დაესწრნენ. კრებამ დაადგინა, განსვენებულის გვამი დაკრძალოს მომავალ კვირას, 10 ივნისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, სადაც ადგილი თვით განსვენებულსავე ჰქონდა ნაყიდი. გუშინ, საღამოს, განსვენებულის ბინაზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი და შემდეგ ცხედარი ქვაშვეთის ეკლესიაში წაასვენეს. პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც ცხედარი დატოვებულ იქნება დასაფლავების დღემდე.

— გუშინ ქვაშვეთის ეკლესიაში ტფილისის თავად-აზნაურობის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა გარდა პანაშვიდს დიდ-ძალი გარეშე ხალხიც დაესწრო.

1 თიბათვეს, საღამოს კრებაზე **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ** დაადგინა: განსვენებულ **იაკობ გოგებაშვილის** დასაფლავებას დაესწროს მთელის შემადგენლობით, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვას საზოგადოების სახელით.

„განათლების საზოგადოებამ“ 2 თიბათვეს დანიშნული **სეირნობა იაკობ გოგებაშვილის** გარდაცვალების გამო სხვა დროისთვის გადასდო.

სამგლოვიარო დეპეშები.

დ. ჭიათურა:

ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს სკოლათა მასწავლებელნი უზომოდ დაამწუხრა ისეთი დიდებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის დაკარგვამ, როგორიც იყო **იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი,** რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე მედგრად იცავდა ქართველთა აღზრდა-განათლების საქმეს.

ჯაყელი, გომელაური, წუწუნავა, ბურჭულაძე, მღვდ. ბარათაშვილი, მიტაშვილი, წერეთელი, კიკალიშვილი, გელაზანია, ჩუნჩალაძე, კავსაძე, ბახტაძე, ჩინჩალაძე, ანთელიძე, პუშკინი, იაკოვლევი.

ყვირილა:

თავზარი დაგვცა იაკობ გოგებაშვილის სიკვდილმა. დავკარგეთ საუკეთესო, აღმზრდელი მამა.

ვასო თურამელიძე, გრიგოლ მარგველაშვილი.

სამგლოვიარო წერილები:

ფრიად დაგვაღონა იშვიათი ქართველისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკის **გამგეობა.**

კიდევ დავკარგეთ ერთი დიდი მამულიშვილი, **იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.** სიკვდილი იაკობ გოგებაშვილისა გლოვის ზარივით გაისმა კიდის-კიდემდინ და საქართველოს შეგნებულნი შვილნი გლოვის ძაძებით შემოსა.

ჩვენც, ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოებამ, დიდის მწუხარებით მოვისმინეთ ეს ამბავი და გადავსწყვიტეთ შევუერთდეთ ჩვენი სამშობლოს შვილებს და ფრიად საგრძნობელსა და დიდს მწუხარებაში და მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა, განსვენებულის ცხედარის დაკრძალვაში.

ვაჭართა საზოგადოებამ დაადგინა, განსვენებულის **კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკონ.**

ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოება.

იაკობ გოგებაშვილის ანდერძი

განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი ქონება გაანაწილა ამნაირად: 1) ყველა წიგნები და სახელმძღვანელოები შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; ამავე საზოგადოებას შესწირა მიწა, ზომით 260 საჟენი, ვერაზე.

ანდერძით ამ გამოცემებიდან შემოსულ ფულის მოგებით უნდა დაარსდეს განსვენებულის სამშობლო სოფელ ვარიანში სამგალითო სახალხო სკოლა. გარდა ამისა ამავე წიგნების შემოსავლიდან უნდა ეძლიოს დახმარება სხვა და სხვა კერძო პირთ. უნდა მიეცეს დახმარება: 1) ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელს 12 თუმანი წელიწადში, 2) საზოგადოება „განათლება“-ს 12 თუმანი წელიწადში, 3) ქართულ საბავშვო ბაღსაც 12 თუმანი წელიწადში. განსვენებულის რუსულისა და ქართულ წიგნების თითო გაყიდულ ეგზემპლიარიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ ერთი კაპეიკისა სახალხო განათლების ფონდის შესადგენად. ამ ფონდის სარგებლით უნდა დაენიშნოს სტიპენდიები განსაკუთრებით სახალხო სკოლებიდან გამოსულ მოსწავლეთ. ამ ფონდის სასარგებლოდ უნდა გაიყიდოს ვერის მიწაც. ამავე ფონდს უნდა მოხმარდეს ნახევარი იმ ნაღდი ფულისა, რომელიც დარჩა განსვენებულს. სარგებლის დახარჯვა საზოგადოებას შეეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფონდი ათი ათას მანეთამდე გაიზრდება.

გარდა ამისა წიგნების შემოსავლიდან წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა აძლიოს ყოველ-წლიური სუბსიდია ჟურნალ „განათლება“-ს, არა ნაკლებ სამასი მანეთისა წელიწადში. საზოგადოებამ უნდა აძლიოს აკაკი წერეთელს ათ-ათი თუმანი წელიწადში ჰონორარად იმ ლექსებისა, რომელნიც მოთავსებულია გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში.

ფულად განსვენებულმა იაკობ სვიმონის ძემ დასტოვა დაახლოვებით 13 ათასი მანეთი, ეს თანხა ანდერძით ამნაირად არის განაწილებული: 1) დასამარხად და ძეგლისთვის უნდა გადაიდოს არა უმეტეს სამი ათას მანეთისა; 2) ერთი ბილეთი უნდა მიეცეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სახალხო-განმანათლებელ თანხის შესადგენად; 3) მეორე—ბილეთი სალიტერატურო ფონდს; 3) მესამე—ქართულ დრამატიულ საზოგადოებას; 4) მეოთხე—ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას; 5) მეხუთე—ჟურნალ „განათლება“-ს; 6) მეექვსე—ტფილისის სახალხო უნივერსიტეტს. ყველა ეს ბილეთები უსათუოდ დაზღვეული უნდა იყოს და, ტირაჟის გამოსვლის შემდეგ, უნდა შეიძინონ ახალი.

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ყველა გირავნობის ფურცლები განსვენებულმა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას სახალხო განმანათლებელ ფონდისთვის.

ამას გარდა, ზოგი რამ განსვენებულმა იაკობ სვიმონის ძემ დაუტოვა თავის ნათესავებს, რომელთა შესახებ ცნობები არ მოგვყავს.

ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგ. კრება

1 ივნისი.

კრება რვის ნახევარ საათზე გაიხსნა.

თავმჯდომარე კრებას აცნობს სახელოვანი ქართველი პედაგოგისა და მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას და სთხოვს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის სახელს.

მთელი კრება მოწიწებით წამოდგა ფეხზე და დაადგინა: 2 ივნისს 2 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

კრებამ უკვე დაასრულა ანგარიშის განხილვა და ასტყდა დიდი კამათი ანგარიშის დამტკიცების ფორმულის შესახებ.

სარევიზიო კომისიის არჩევის საკითხმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ერთი ნაწილი კრებისა ამტკიცებდა, რომ სარევ. კომისია, კანონის ძალით, სამაზრო კრებამ უნდა აირჩიოს 3 წლის ვადით, ხოლო მეორეს აზრით იგი საგუბერნიო კრებაზე უნდა იქნეს არჩეული 1 წლითო.

ბოლოს მიიღეს წინადადება: სარევიზიო კომისია უნდა არჩეულ იქმნას 1 წლის ვადით.

როდესაც აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა აირჩიოს ეს კომისია, სამაზრო კრებებმა, თუ ეხლანდელმა საგუბერნიომ, თავმჯდომარემ განაცხადა, ამაზე ლაპარაკსა ვსპობ, რადგანაც კანონით ამ კომისიას სამაზრო კრებები ირჩევსო.

როდესაც 10 წუთის დასვენების შემდეგ კრება კვლავ განახლდა, **დ. ფავლენიშვილმა** წინადადება შემოიტანა, რომ ილიასეული სახლი, რომელიც ტფილისის სათ.-აზნ. ბანკშია დაგირავებული, შეიძინოს თავად-აზნაურობამ. განსვენებულ მგოსნის სამუშაო კაბინეტი ხელუხლებლად უნდა დარჩეს, ხოლო დანარჩენ სადგომში დაარსდეს თავშესაფარი მოხუც ლიტერატორთა და სცენის მოღვაწეთათვის.

კრებამ მიანდო დეპ. საკრებულოს ამის შესაფერი გეგმის შემუშავება მომავალ კრებაზე წარმოსადგენად.

შემდეგ გადადიან ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე. მდივანი კითხულობს განმარტებას ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, რომლიდანაც სჩანს, რომ შემოსავალ გასავალი დიდად არაფრით განსხვავდება წინა წლებისაგან, გარდა იმისა, რომ ელექტრონის სადგურის შემოსავალს წელს თვალსაჩინოდ უმატნია.

კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის მოხსენების განმარტება დაიბეჭდოს ხოლმე.

დ. ჯორჯაძე: 10 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენს ძუშაობას არავითარი სისტემა და გაუმჯობესება არ ეტყობა. ყოველ წლობით კარგა თვალსაჩინო თანხას ვაძლევთ სხვა და სხვა სასწავლებელს, განურჩევლად იმისა, ღირსი არიან იგინი ჩვენი დახმარებისა, თუ არა. ჩემის აზრით, ისეთ სასწავლებლებს თუნდა აღმოეჩინოს დახმარება, რომლებიც ჩვენს ხელთაა, ხოლო მთავრობის სასწავლებლებისათვის, მაგალითად, გორის პროგიმნაზიისთვის გაღებული ფული უსარგებლოდ გადაყრილია.

გრ. რცხილაძე: მთელი ხარჯთაღრიცხვა ორ დიდ ნაწილად იყოფა:

1) საოპერაციო ხარჯები,

2) ხარჯები საზოგადო საჭიროებათა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ ვანაწილებთ ამ ხარჯებს?

მეორე კატეგორიის საჭიროებისათვის წლიურად ვხარჯავთ 14.000 მ. ხშირად მსმენია, რომ ჩვენ საერებო დაწესებულების მაგიერობას ვეწევით, რაც მართალი არაა. უდიდესი ნაწილი ჩვენი მოგებისა უმაღლეს სასწავლებლებზე იხარჯება, რომლებიც მხოლოდ ჩინოვნიკებად გვიზრდიან შვილებს. ჩვენ კი საშუალო, საერო და დაბალი სასწავლებლები გვესაჭიროება, ისეთი, რომელიც ჩვენს შვილებს ცხოვრებასთან დაახლოვებს და დააკავშირებს. იყო დრო, როცა ჩვენში მოხელეებად სულ ქართველები იყვნენ, მაგრამ ეს დროც წავიდა და მგონი არასოდეს აღარ დაბრუნდეს; მაშასადამე, ჩვენს „მოჩინოვნიკე" ახალგაზრდობას აღარც ამის იმედი უნდა ჰქონდეს. მაშ რისთვის გინდა ეს სასწავლებლები? იგინი მხოლოდ პირადი ცხოვრების მოსამსახურე პირებს გვაძლევენ და არა საზოგადო მოღვაწეებს.

მიეცით უპირატესობა პირველ დაწყებით სკოლებს, თუ გინდათ მართლა დაიმსახუროთ ერობის დაწესებულების სახელი.

ივ. რატიშვილის აზრით ყოველგვარი სასწავლებელი საჭიროა ჩვენი ცხოვრებისათვის, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება კი სათავ.-აზნ. გიმნაზიას უნდა მიექცეს.

დ. ჯავახიშვილს შემოაქვს წინადადება, რომ ანგარიშები ქართულადაც იბეჭდებოდესო და თან დასძენს:

ბატონებო, ეს დღე, დიდი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების დღე, დღე იმის ნიშნად გადაიქცეს, რომ სადაც კი შესაძლებელია ნურავის დავაჩაგვრინებთ ქართულ ენას.

ხანგრძლივი ტაშის ცემა.

ნ. თუმანიშვილი ლაპარაკობს გორის გიმნაზიაში მომხდარ ინცინდენტის შესახებ და ამბობს, რომ ეს უმნიშვნელო ამბავი გაუგებრობამ გამოიწვიაო. ხმები: უმნიშვნელო კი არა, ძლიერ დიდმნიშვნელოვანია!

ნ. თუმანიშვილი: კითხულობს ზაალიშვილის წერილობით პასუხს, რომელიც მას გამოუგზავნია თუმანიშვილისთვის ინციდენტის გამოსარკვევად.

როცა ეს წერილი წავიკითხე, ვინახულე მზრუნველი და ველაპარაკე ამის შესახებ. მზრუნველმა გადმომცა, რომ იგი მოახდენს საგანგებო განკარგულებას, რათა ქართული ენის მასწავლებელი სხვებთან ერთად თანასწორი უფლებით ესწრებოდეს ხოლმე პედაგოგიურ რჩევებსაო.

ივ. აფხაზი: თუ ოთხი წლის განმავლობაში ითმენდა ზაალიშვილი ქართული ენის მასწავლებელს, ამ ერთი თვის წინედ რაღად გააგდო და არ მოუცადო მთავრობის განკარგულებასო.

ნ. თუმანიშვილი: როგორც და სადაც გინდათ დაგიმტკიცებთ, რომ ზაალიშვილი პატიოსანი კაცია და აქ მხოლოდ გაუგებრობაა, მეტი არაფერი.

გრ. დიასამიძე: უპასუხებს გ. რცხილაძეს და ამბობს, რომ, მართალია პირველდაწყებითი სკოლების დაარსება დიდად საჭიროა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ გავწვდებით, იგი სახელმწიფოს საქმეა. ჩვენი უმთავრესი ყურადღება ქართ. გიმნაზიას უნდა მიექცეს, რომელიც მართლა სულითა და გულით ნამდვილ ქართველ ახალგაზრდებს გვაძლევს. რაც შეეხება სხვა სასწავლებლების დახმარებას, როგორც მაგ., გორისა, თელავისა და სხვა პროგიმნაზიები, ჩემის აზრით მათ უნდა მოუსპოთ დახმარება და ეს თანხა წ.-კითხვის საზოგადოებას გადავცეთ. გარდა ამისა, ერთად-ერთი ქართული წიგნის მაღაზია სადღაც მივარდნილ ადგილსაა მიკუნჩხული და საგანგებოდ თუ არ ეძიე, ვერც კი მიაგნებ. აუცილებლად საჭიროა სასახლის ქუჩაზე დაეთმოს მას გამოჩენილი ადგილი. (ტაშის ცემა).

შ. ამირაჯიბი: პროგიმნაზიების დაარსება ჩვენში ავადმყოფურ მოვლენად გადაიქცა, დაბები ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ საქმეში, ხოლო სოფლებს კი ყურადღებას არვინ აქცევსო.

არ. ჯაჯანაშვილი: არ ვიცი რად, აქ ქართულ გიმნაზიაზე დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს ვისმეს რამე ეთქვას მის წინააღმდეგ. მე ქართულ გიმნაზიაში დავიბადე, იქ გავიზარდე და ამიტომ ძალიან კარგად ვიცი მისი ფასი. ამ გიმნაზიამ მასწავლა ქართულ ენის სიყვარული, რაც ამ ჟამად მალაპარაკებს. გორის პროგიმნაზიაში ისეთი რამ მოხდა, რაც შეუძლებელია უყურადღებოდ დარჩეს. ყოველთვის, როდესაც ამ პროგიმნაზიებზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, მაზრის წინამძღოლები და მათ შორის თქვენც, ბატონო თუმანიშვილო, სათითაოდ წამოდგებით ხოლმე და ამტკიცებთ პროგიმნაზიების ბატონ-პატრონები ჩვენა ვართო. გორის პროგიმნაზიაში მომხდარმა ინციდენტმა დაგვიმტკიცა, რომ ეს ასე არ არის. საკმარისი გახდა უბრალო მასწავლებელს ქართულ ენის მასწავლებელთა უფლების წინააღმდეგ გალაშქრებულიყო, რომ დირექტორი ზაალიშვილი დამფრთხალიყო. ამის შესახებ გამოცდილ პირთ დავეკითხე და მითხრეს: თუმცა კანონი გარკვევით არაფერს ამბობს, მაგრამ ჯერ არ გვახსოვს, რომ რუს დირექტორებსაც კი ეს უფლება წაერთვათ ქართულ ენის მასწავლებელისთვისო. ქართველმა დირექტორმა კი ეს ჩაიდინა. ამიტომ წინადადებას ვაძლევ კრებას, პროტესტი გამოუცხადოს ინსპექტორს ზაალიშვილს.

ხმები: ზიზღი, ზიზღი!

არ. ჯაჯანაშვილი განაგრძობს და ამტკიცებს, რომ პროვინციის პროგიმნაზიებში ისეთი ხალხი იყრის თავს, რომელთაც ქართული ენა ეჯავრებათ, ეზიზღებათ და ამიტომ მათ უნდა მოესპოთ სუბსიდიები და გადარჩენილი თანხა გადაეცეს ქართულ გიმნაზიას, რომელსაც ასე უჭირს ფული. (ტაში).

ი. ბარათაშვილის აზრით სწავლა-განათლებას ჩვენი ცხოვრებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ტერიტორიის საკითხს, რადგან მიწა უამისოდ მკვდარი ჩონჩხია.

დიდებულ მოამაგის ხსოვნას

(იაკობ გოგებაშვილს)

ცამ დაჰკრა, მეხმა დასჭექა,
შეირყა მთა და ბარია;
ბუნება ძაძაში ჯდება,
მზემაც სხივები არია.
გაისმის რაღაც ბუბუნი,
თითქო გლოვა და ზარია;
რა ამბავია, რა მოხდა,
განა ვინა გვყავს მკვდარია?
იაკობ გოგებაშვილი?!
ვინც ამას ჰფიქრობს—მცდარია:
ვიტიროთ ცოცხალი მკვდარი,
ბილწი და უშვერარია,
ვინც ორ ღმერთს ემსახურება,
გულით დამპალი სარია,
არც ჩვენში არის, არც სხვაგან,
მჩვარი სუყველგან მჩვარია.
იაკობ გოგებაშვილი
ჩვენი მზე,—ჩვენი დარია,
ის არ მოკვდება არას დროს
სანამ გვყავს ერთი ბღარია.
ბალღებო, თქვენი ჭირიმე,
იმღერო ჩვენი ლხენისა,
იმღერეთ: როდი მომკვდარა
მომცემი **„დედა-ენისა"**.
მზევ, ისევ პირი გვიჩვენე
ცაო, შესწყვიტე ქუხილი,
ამაყის შვილებს არ მოგვდგავს
ცუდად გლოვნა და წუხილი.
ვაი მას, ვისაც ალაჩრებს
სიცოცხლით წუთი-სოფელი:
აღარც დედა სწამს, არც მამა,
არც მიწა-წყალი—მშობელი,
დადის და დაეხირება,
გვარ-ტომის უარმყოფელი.
მზეც კი მას ზიზღით უყურებს
მზე—ქვეყნის მანათობელი.
ცამ დაჰკრა, მეხმა დასჭექა,
შეირყა მთა და ბარია...
რა ამბავია, რა მოხდა,
განა ვინა გვყავს მკვდარია?
იაკობ გოგებაშვილი?!
ვინც ამას ჰფიქრობს მცდარია,
ისევ ცოცხალი ვიტიროთ,
ვინც ჩვენთვის დღესვე მკვდარია!..

შიო მღვიმელი.

ჩვენ კი ძლიერ ცოტას ვხარჯავთ განათლებაზე და სრულიად გვავიწყდება ის საწყალი და ღარიბი აზნაურობა, რომელიც სოფლად სცხოვრობს და რომელსაც აქ, ამ კრებაში, წარმომადგენელი არა ჰყავს. საჭიროა წ.-კითხვ. საზოგადოებას გავუდიდოთ დახმარების რაოდენობა პირველდაწყებითი სკოლების გასავრცელებლად იმ ღარიბ აზნაურთა შვილებისათვის.

ამით დასრულდა საზოგადო მსჯელობა ხარჯთაღრიცხვის შესახებ და რადგან უკვე გვიან იყო, მუხლობრივი განხილვა მეორე დღისათვის გადაიდო.

ქუთ. სააღ. მამ. ბანკის რწმუნებულთა კრება

29 მაისს.

გუშინდელ ჩემს ანგარიშში ვერ აღვნიშნე ერთი გარემოება და მინდა შევასწორო ჩემი შეცდომა. რწმუნებულთა განსახილველ საგნებში, სხვათა შორის, აღნიშნულია ის კითხვები, რომელნიც უნდა განეხილა ამ წლის იანვარში არაჩვეულებრივ კრებას.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ კრების მოწვევის ინიციატორები ეხლა მაინც განმარტავდნენ კრების მოწვევის საჭიროებას, მით უმეტეს, რომ ამ კრების მოწვევას ისინი საშინელი დაჟინებით თხოულობდნენ. ეხლა, — როცა საქმე საქმეზე მიდგა, ბ-ნ დიდიმ ჩიქვაიძის განმარტებით, იმდენად დაგვიანებულია თურმე, რომ არაჩვეულებრივ კრების პროგრამის განხილვა თვით ინიციატორებმა მოხსნეს. მკითხველი თითონ მიხვდება, რა ავლადიდება ჰქონდათ იმ პირთ, რომელთაც ქვეყანა შესძრეს მისთვის, რომ არაჩვეულებრივი კრება მოეწვიათ და ეხლა კი იძახიან გვიან არის და სათქმელი არაფერი გვაქვსო. მაგრამ რა მოთხოვეთ იმ კაცს, რომელიც გულახდილად იძახის: საცა ჯერ არს საჩივარს გავგზავნი და თუ ბანკს ევნება რამე ჩემი ბრალი არ იქნება, რადგან ეს მაიძულა ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმაო.

ასეთნი არიან ზოგიერთნი ჩვენი „მოღვაწენი", რომელთაც ფრანგისა არ იყოს თავის მოქმედებაში არ ახლავთ ni foi ni loi.

ჯერი მიდგა სმეტაზე. შარშან კრებას დაუმტკიცებია 89,000 მანეთის სმეტა. ნამდვილად კი 1911 წლის განმავლობაში საქმის ვითარებას მოუთხოვია 101,000 მან. ხარჯი. ეხლა 1912 წლისათვის გამგეობამ წარმოადგინა 115 ათასის სმეტა, ხოლო ზედამხედველმა კომიტეტმა 112 ათასი მანეთისა. ასეთი გადიდება ხარჯისა, გამგეობისა და ზედამხედველკომიტეტის განმარტებით, იმითია გამოწვეული, რომ ერთის მხრივ ყოველნაირი ხარჯი გაუთვალისწინებიათ და სმეტაში შეუტანიათ იმ აზრით რომ ზედ-მეტი ხარჯი არ მოხდეს, როგორც წინა წლებში ხდებოდა, მეორე მხრივ ერთი დამფასებლის მომატება სოხუმისთვის, იურისკონსულტის ნაწილის რეორგანიზაცია და ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებაში შარშანდელი 3000 მანეთის მაგიერ 6500 მანეთის გადადება.

კერძოდ სმეტამ იმ მხრივაც მიიქცია ყურადღება, რომ ბანკის მიწის მზომლის წინანდელი ჯამაგირი 1500 მანეთი 1200 მანეთამდის შეუმცირებიათ ბანკის გამგე ორგანოებს, რაც იმითი ახსნეს, რომ საგანგებო ტეხნიკის დანიშვნის შემდეგ, ვითომც მას შრომა შემცირებოდეს.

თვით ბ-ნმა დავითაშვილმა განმარტა, რომ იგი 20 წლის განმავლობაში სინდისიერად ემსახურებოდა ბანკს, ტეხნიკის დანიშვნამდე იგი აუტანელ შრომას ეწეოდა. მაგალითი არა ყოფილაო, — სთქვა, ბ-მა დავითიშვილმა, — რომ 20 წლის ერთგული სამსახურისთვის, მოხელეს ჯამაგირი მოეკლოთ და არ მესმის რად ინებეს ეს ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის უმრავლესობამაო.

კრების ერთმა ნაწილმა მოითხოვა, რომ ბ-ნ დავითიშვილის შესახებ ცალკე ყუთი დამდგარიყო და შემდეგ ამისა კრების თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქნა საფინანსო კომისია, რომელშიაც გარდა ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობისა აირჩიეს შემდეგი პირნი: კიტა აბაშიძე, იაზონ ბაქრაძე, თ-დი ოთარ დადეშქელიანი, თ-დი ბეჟან წერეთელი, იოსებ ოცხელი, ილია მესხი და სვიმონ ჯაფარიძე. ამ კომისიამ უნდა განიხილოს სმეტა და თავისი მოსაზრებით წარმოუდგინოს კრებას.

30 მაისის კრება.

ეს დღე სმეტისა და სხვა და სხვა თხოვნებისაა. პირველად კრებას მოხსენდა ბატონი აკაკის თხოვნა. საქმიდან გამოირკვა შემდეგი. 1889 წ. ბატონი აკაკისთვის დაუნიშნავთ წლიური პენსია 1500 მანეთი. აქედან დაწყებული 1902 წ. [დიდის წვალებითა და ვაი გაგლახით გამოუტანია 9000 მანეთი და როცა ბატონ აკაკის მოთმინება დაუკარგავს ამავე წელს განცხადება შეუტანია ბანკის რწმუნებულთა კრებაში: თქვენზე დარჩენილი ფულით ჩემი მამულის ვალი გადაიხადეთ და თუ გადარჩება რამე ფულად მომეცით ბოლო პენსიის მიღებაზე დღეის ამას იქით უარს ვამბობო.

უარი მაშინდელ გამგეობას ბანკისას ყურად უღიათ, ხოლო ვალის გადახდის თაობაზე ორივე ყური მოუყრუებიათ 1905 წლამდე და ამ წლიდან დაწყებული 1908 წლამდე ნაწილ ნაწილად გადაუხდია წარსული წლების ვალი. 1909 წელს კი კვლავ განახლებია ბატონ აკაკის პენსია. რომელსაც ეხლა თავის დროზე ეძლევა თურმე. ამ ნაირად ბატონ აკაკისათვის 6 წლის პენსია ბანკს არ მიუცია, ძალა უნებური უარის თქმის გამო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოარკვიეს როგორც თვით ბატონმა აკაკიმ ისე რწმუნებულებმა: იაკობ ფანცხავამ, კიტა აბაშიძე, იაზონ ბაქრაძემ იაზონ გელოვანმა და საქმე იმით დასრულდა, რომ წინანდელ პენსიას 1500 მანეთს მიემატა 500 მანეთი, რომლითაც ყოველ წლიურად ჯერ ბატონი აკაკის დაგირავებული მამულის გადასახადი უნდა შეიტანოს ბანკმა და დადანარჩენი ბატონ აკაკის გადაეცეს.

ეს საკითხი, ისე როგორც ყოველი საკითხი ფულის გაღებისა, ბანკის წესდების თანხმად, ფარული კენჭის ყრით უნდა მოხდეს და ამიტომ დაუდგეს ყუთი და აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული წინადადება მიღებულ იქნა 79 ხმით წინააღმდეგ 50 ხმისა, რასაც კრება დიდის აღტაცებით შეხვდა.

შემდეგ ამისა გადასწყდა: 1) 104 ხმით წინააღმდეგ 26 ხმისა დამტკიცდა სმეტა 117 ათასი მანეთი; 2) 116 ხმით წინააღმდეგ 13 ხმისა, რომ აღიძრას შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ბანკის საშუალებიდან მიეცეს ქართულ გიმნაზიის შესანახავად და ამ გიმნაზიის დაგირავებულ შენობის სარგებლის გადასახდელად 35,000 მ.; 3) 94 ხმით წინააღმდეგ 14 ხმისა ბანკის ვექილს ჩხეიძეს, გარდა მის ბანკის ვალის ჩამოწერისა, მიეცეს 2000 მან.; 4) მიწის მზომელ ივ. დავითიშვილის 69 ხმით წინააღმდეგ 61 ხმისა დაენიშნა ძველი ჯამაგირი 1500 მანეთი და 5) მეექვსე დამფასებლის ადგილის დაარსებას თეთრი კენჭი მისცა 76 და შავი—54.

შემდეგ ამისა მოხდა არჩევნები:

ზედამხედველი კომიტეტის ადგილზე ყუთი დაიდგა მარტო ალ. საყვარელიძემ, რომლის ერთხმად არჩევას მთელი კრება ითხოვდა.

კენჭის დათვლის შემდეგ ბ-ნ საყვარელიძეს თეთრი ამოუვიდა 114, შავი 8.

გამგეობის წევრის კანდიდატობაზე ყუთი დაიდგეს: თ-მა იასონ ნიჟარაძემ, ბ-ნ ევგენი ქუთათელაძემ და თ-მა ივანე ნიჟარაძემ, პირველმა მიიღო თეთრი 68 შავი 52 ბ-მა ევგენი ქუთათელაძემ თეთრი 49 შავი 71 თ-მა ივანე ნიჟარაძემ თეთრი 55 შავი 65. ამ ნაირად გამგეობის წევრის კანდიდატებად არჩეულია მარტო თ-დი იასონ ნიჟარაძე.

მოწერილი ამბები

ალაგირი (თერგის ოლქი) 20 მაისს ქართულ სკოლის დარბაზში მოხდა ქართველ საზოგადოების კრება ბ-ნ მასწავ. გ. უტურაშვილის თაოსნობით, რომელსაც სხვათა შორის დაესწრო კავკავის ოლქის სკოლების ზედამხედველი ადგილობრ. მღ. მ. იოანე ანდრიევსკი. კრებამ მოისმინა კავკავის საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს დადგენილება; ხსენებულ საბჭოს, მიუმართავს მამა ანდრიევსკისთვის, სასურველია თქვენ მიერ რწმუნებულ ოლქში ან დაკეტილ სოფ. სალუგარდანის ორკლასიან სამრევლო სკოლის ნაცვლად რომელიმე ერთკლასიანი სკოლა გადაკეთდეს ორკლასიანადაო.

ეს ამბავი გაუგია ჩვენს მასწავლებელს და მაშინვე შუამდგომლობა აღუძრავს მ. ანდრიევსკის წინაშე, რათა ჩვენ სკოლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა. ჩვენდა სასიხარულოდ ბ. მასწავლებლის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. კრებაზე ბ. მასწ. ზემოთ მოხსენებული საზოგადოებას ყოველივე აუწყა, საზოგადოება აღტაცებით მიეგება ამ ამბავს და ერთხმად თანხმობა განაცხადა; იქვე განაჩენიც იქმნა შედგენილი მამასახ. ნაცვალ ბ-ნ ტრიფონ ლოკვაძის მიერ, წარსადგენად სადაც ჯერ არს. დასასრულ მამა ანდრიევსკიმ სიტყვით მიმართა საზოგადოებას და განუმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლის და [illegible] წარმატება და აყვავება. ბოლოს მ. ანდრიევსკის სიტყვას ტაშის ცემით მიეგება. ამ საქმის დასაგვირგვინებლად მე საზოგადოების მონდობილობით მივმართავ ყველა ჩვენ გულშემატკივართ დაგვეხმარონ თავიანთი წვლილით და საშუალება მოგვცენ ჩვენი სკოლის შენობის გაფართოებისა. მარტო ადგილობრივ ქართველობას კი არ ძალუძს ამის სისრულეში მოყვანა, გადავწყვიტეთ რომ 1 ივნისიდან დავიწყოთ შენობის მომატება.

პეტრე დ. მეტრეველი.

ს. როკითი. (ქუთაისის მაზრა). 27 მაისს მოხდა სახალხო სკოლების ინსპექტორის თანადასწრებით გლეხებისა და აზნაურების შეერთებული კრება, კრების საგანი იყო ადგილობრივ სკოლის შენობის გაკეთება და ამ აზრისთვის გლეხებისა და აზნაურების შეერთება. ხსენებული სასწავლებელი დაარსებულია 1902 წელს, ჰქონდა საკუთარი ფიცრულის შენობა, მაგრამ შარშან შემოდგომაზე ვიღაც ბოროტმა კაცმა ცეცხლი გაუჩინა და დასწვა. ბოროტგამზრახველი ვერ აღმოაჩინეს, თუმცა ბევრნაირი ხმები დადიოდა. საჭირო შეიქმნა ახალი შენობის აგება. რადგანაც ადგილობრივი გლეხობა მცირე რიცხოვანია და ღარიბიც და სკოლა არა ნაკლებ აზნაურობასაც სჭირდებათ. სასურველი იყო ამ აზრისთვის მათი შეერთება.

სანამ ყრილობა დაიწყებოდა ადგილობრივ უძველეს ეკკლესიაში წირვა მოვისმინეთ, სადაც სასიამოვნოთ გაგვანცვიფრა მწყობრმა, მეტად სასიამოვნო ქალ-ვაჟთა ქართულმა გალობამ, რომლის დამაარსებელი ყოფილა ადგილობრივ აზნაურის ქალი თეკლაათის მონასტრის მონაზონი ელენე ალექსის ძე ახვლედიანი, რომელიც მოსულა რა დროებით ავადმყოფობის გამო თავის სამშობლო სოფელში შეუდგენია მგალობელთა გუნდი. ხმები სამაგალითო ამორჩეულია და გალობაც ნამეტნავად ხიბლავს მსმენელს. ძნელად თუ შეხვდება კაცი არამც თუ ამისთანა მიყრუებულ სოფლებში, როგორიც როკითი, არამედ ბევრ დაბებშიაც. წირვაზე სასიამოვნო ქართული გალობა, წირვის შემდეგ შესაფერისი მგრძნობიარე სიტყვა ადგილობრივი მღვდლის მიხეილ ჩიქვინიძისა. წირვის შემდეგ გლეხობამ ერთხმად დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ აზნაურებმა მათთან შეერთება არ იკადრეს, თვითონ ააშენონ შესაფერი სახლი და ხარჯიც თვითონვე იკისრონ. მათ შეუერთდა აზნაურების უმცირესობა.

თ. ჭყონდიდელი.

ორპირი იანუსი

(პასუხად გორის პროგიმნაზიის ქართულ ენის მასწავლებელს ი. კაპანაძეს)

> ... ნეტავი წელიწადში ერთხელ მაინც შემოიხედავდეს ზაალიშვილი ჩემს გაკვეთილზე, ნახავდეს, შე ძლივა არას ვასწავლი, შეიძლება ვრყვნი მოწაფეებს; ქართულ ენას იოტის ოდენა ყურადღებას არ აქცევს...
>
> **ი. კაპანაძე.** (პირადად ნათქვამი).
>
> ინსპექტორი ყოველ მეოთხედის შემდეგ, წელიწადში სამჯერ მაინც აუცილებლად, ქართულს ენაში, როგორც სხვა სავალდებულო საგნებში, ჰმართავს გამოცდას ყველა კლასებში ..
>
> ...ინსპექტორი ყოველთვის ცდილობს ჯეროვან და მკვიდრ ნიადაგზე იყოს დაყენებული ქართული ენის სწავლება პროგიმნაზიაში...
>
> **ი. კაპანაძე** („სახ. გაზ." № 610)

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ეს ორი-სამი კვირა იქნება „სახ. გაზ."-ში იბეჭდება წერილები ქართულ ენის აბუჩად აგდების შესახებ გორის სავაჟო პროგიმნაზიაში. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი. თვით ინსპექტორი გვეფიცებოდა, ერთგული დარაჯი ვარ ქართული ენისაო. წინააღმდეგი აზრისა იყო საზოგადოება. ჯერი თვით ქართულ ენის მასწავლებელზე ი. კაპანაძეზე იყო მიმდგარი. კერძოდ მე გულის ფანცქალით მოველოდი, რას იტყოდა იგი, გაიმეორებდა საზოგადოების წინაშე თვის სიტყვებს, პირადად

ჩემთან ნათქვამს, თუ არჩევდა ისევ პირზე მურის წასმას და თვის „უარყოფილ მოძღვრის" დაცვას. „სახ. გაზ." № 610-ში წავიკითხე ბ. ი. კაპანაძის „წერილი რედაქციის მიმართ". მის წერილში ორპირი იანუსობაა. აი სწორედ ეს მაიძულებს სიმართლის ასადგენად მოგახსენოთ სიტყვა-სიტყვით მისი ნათქვამი. საქმე ასე იყო. მაისის სამს თუ, ოთხს დილის 11 საათზე, საქალაქო ბაღისკენ გავისეირნე. ბაღში ერთი ჩემი ნაამხანაგარი შემხვდა — სტუდენტი გაბრიელ ოქროპირიძე. დიდი ხანი იყო არ მენახა. გამოველაპარაკე. მან პირველადვე ის მითხრა: „გაიგე, პროგიმნაზიაში რომ ზაალიშვილმა ქართულ ენის მასწავლებელი საბჭოს კრებებიდან გამოსდევნა?" სწორედ მოგახსენოთ, ეს პირველი გაგონება იყო ჩემი. დავუწყე გამოკითხვა, მაგრამ სწორედ ამ დროს მას ამხანაგმა — სტუდენტმა დაუძახა,— ბოდიში მოითხოვა, აგერ მასწავლებელი უკეთესად გიამბობსო და გამშორდა, იქვე სკამზე იჯექით თქვენ, ბ. ილიავ, მარტოკა. რომ დაგინახეთ, ვსთქვი—ამაზე უკეთეს შემთხვევას სად ვნახავ მეთქი, მოველი თქვენთან გამოგელაპარაკეთ, გკითხეთ საქმის ვითარება. თქვენ ღვთის წინაშე ყველაფერი დაწვრილებით მიამბეთ, გულახდილად. ძალიან, ძალიანა ბრაზობდით ბ. ზაალიშვილზე, ქვასა და გუნდას აყრიდით, ხშირად წამოხტებოდით ზეზე, ხელს იქნევდით პროგიმნაზიისკენ, თითქოს ემუქრებოდით ვიღასაც. „მაცალოს ზაალიშვილმა,—გაიძახოდით თქვენ, ვაჩვენებ რაცა ბრძანდება იგი, დრო დადგება, — პრესაში გამოვაქვეყნებ მის საქმეთა—საგმიროთა, მის ფიზიონომიას. დათხოვნისა არ მეშინიან. გაკვეთილში რაღაც სამ თუმანს ვიღებ, სასულიერო სასწავლებლიდან 90 მან. მაქვს თვეში, ერთი გამხმარი თავი მაქვს, ცოლი არა მყავს და შვილი, ესეც მეყოფა, ზაალიშვილს კი ვაჩვენებ რა ბიჭიცა ვარო"... რა საგმირო-საქმეები იცოდით ბ. ზაალიშვილისა, სწორედ გითხრათ არ გიამბნიათ და არც მე მიკითხავს. უნდა ვაღიარო ისიც, რომ ქართულ ენის საწინააღმდეგო. „კამპანიის" შედგენაში ბრალსა სდებდით ორ პირს— ისტორიის მასწავლებელს სნიტკოს, და მათემატიკისას—ლაურს. ეხლა კი ბ. ილიავ, ურცხვად გამომდგარხართ „სახ. გაზ." ფურცლებზე და საზოგადოების წინაშე თქვენგანვე შეგინებულ „მოძღვრის" ნაფიც დამცველობას კისრულობთ. თქვენ, ბ. ილიავ, მე დიდს პატივს გცემდით როგორც ქართველს, ქართული ენის მასწავლებელს, და აი სწორედ უფრო ამიტომ გამაკვირვა თქვენმა საქციელმა, თქვენმა ფენიქსისებრ უცებ ტყავის გამოცვლამ, გადასხვაფერებამ. თუ აგრეთი სულმდაბალი ბრძანდებოდით, თუ პირველ განყოფილების მოწაფესავით ასე გეშინოდათ დატუქსვის, რად გამოგქონდათ შინიდან გარედ „ნაგავი", რად შეგყავდით შეცდომაში (??) ხომ დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ნათქვამი პრესას არ ასცდებოდა?

გვეფიცებით ბ. ინსპექტორი ყოველთვის სცდილობს ჯეროვან და მკვიდრ ნიადაგზე იყოს დაყენებული ქართული ენა პროგიმნაზიაშიო ვითომ? აბა ახლა გაიხსენეთ რა მიამბეთ ბაღში? აი თქვენი სიტყვები: ქართული ენა გერად არის მიჩნეული. მისთვის არავინ ზრუნავს. დათმობილი აქვს მეხუთე-მეექვსე გაკვეთილი და რაკი სავალდებულო არ არის, მოქანცული მოწაფე შინ წასვლას არჩევს „უსარგებლო" ქართულის გაკვეთილზე მოქნარებას. ზაალიშვილი პირველ, მეორე კლასებში იღებს ისეთ მოწაფეებს, რომელთაც არაფერი იციან ქართულისა. მითხარით ერთი, როგორ გავუძლვე ერთი კაცი? ბ. ინსპექტორი ყოველ მეოთხედის შემდეგ, წელიწადში სამჯერ მაინც უეჭველად ახდენს ქართულს ენაში გამოცდას, განაგრძობთ თქვენ გაუწითლებლად, მაგრამ რა მითხარით ამის შესახებ, როდესაც მე გკითხეთ —ადევნებს ზაალიშვილი თვალყურს ქართული ენის სწავლებას თუ არა მეთქი? აღარ გახსოვთ? სუსტი მეხსიერება გქონიათ ბ. ილიავ! აი თქვენი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით:—ეჰ, რის თვალ-ყურის დევნება ნეტავი ერთხელ მაინც შემოიხედოს კლასში მთელი წლის განმავლობაში, ნახოს, როგორ ვასწავლი, რას ვასწავლი. შეიძლება ვრყვნი მოწაფეებს, ცუდ რამეზე ველაპარაკები. სხვა საგნების გაკვეთილებზე შედის ყოველდროს, ჰკითხავს მოწაფეებს, ადევნებს თვალყურს მასწავლებელს, როგორ ასწავლის, ჩემს გაკვეთილზე კი შემოაღებს კარს მხოლოდ, შემოიხედავს და ცივად გატრიალდებაო... გენიშნათ თუ არა ეს სიტყვები? ეს თქვენ არ გითქვამთ? საზოგადოებას კი არწმუნებთ—ღმერთი, რჯული, ყოველ-მეოთხედის შემდეგ ინსპექტორი სცდის მოწაფეებს ჩემს საგანშიო. როგორ შეუთანხმოთ ეს აზრი ზემოდ ნათქვამს.

გ. ანიძე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

2 ივნისი.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. მთავრობამ უკან წაიღო პროექტი კონსტიტუციის 31 მუხლის შეცვლისა. სენატში უკმაყოფილება თან და თან იზრდება. წამოაყენეს საკითხი ძველის რეჟიმის მომხრეთა გადასახლებისა. სენატორებს არა კონსტიტუციურად მიაჩნიათ მათი გადასახლება.

სახელმწიფოს ხაზინის მდგომარეობა უკან უკან მიდის.

მთავრობამ ოფიციალურად დაადასტურა იტალიელების გამარჯვება ზანზურის ბრძოლაში.

ალბანელები დაუმარცხებიათ, მაგრამ ისინი მთებში გახიზნულან და რაზმებს აგროვებენ.

საკვირველი მოთმენა.

ვენა. დეპუტატთა პალატის კომისიის სხდომაზე, რომელიც არჩევდა სამხედრო რეფორმის საკითხს, უკრაინელთა დეპუტატმა ბაჩინსკიმ დღეს ნაშუადღევისას დაათავა გუშინ დაწყებული სიტყვა. ბაჩინსკი სწორედ ცამეტი საათის განმავლობაში ლაპარაკობდა. სამხედრო მინისტრი 31 მაისიდან სხდომაზეა. სხდომა გრძელდება.

ვენა უკრაინელები სამხედრო რეფორმის წინააღმდეგ სასტიკ ობსტრუქციას ეწევიან. უკრაინელმა ლევიცკიმ ხუთ საათ ნახევარს ილაპარაკა. ვინც ობსტრუქციაში მონაწილეობას არ იღებს, ლაპარაკსაც ერიდება და მხოლოდ რეზოლუცია შეაქვს. პოლონელმა გელერმა წინადადება შეიტანა, 1912 წელს ახალგაზდები ჯარში რეფორმის მიხედვით გაიწვიონო. წინადადება ობსტრუქციის წინააღმდეგ არის მიმართული.

ცუვაის გამო

ზაგრები. კომისარს ცუვაის, ამას წინად რევოლვერი ესროლეს. ამ საქმის გამო ეხლა ბევრი დაუპატიმრებიათ. ამბობენ, აქ ძალიან დიდი შეთქმულება ყოფილაო.

ხორვატელთა საქმე.

სარაევო. ხორვატიის უფლების პარტიის კომიტეტს საზოგადო კრება ჰქონდა. კრებამ დაადგინა პროტესტი განაცხადოს ხორვატიის ეხლანდელ კომისარის წინააღმდეგ.

ჩინეთის სესხი.

პეკინი. უცხოელთაგან სესხის ალების საწინააღმდეგო მოძრაობა იზრდება განსაკუთრებით ჩინეთის სამხრეთს. მთავრობა თავს იმართლებს.

იტალიელთა გამარჯვება.

რომი. „სტეფანის" ხოლმსიდან ატყობინებენ, 30 მაისს ოსმალები ლებდას ახლო იტალიელებს თავს დაესხნენო. მოხდარა ცხარე ბრძოლა. არაბები და ოსმალნი დიდაღ დაზარალებულნი გაქცეულან და იტალიელებს დიდძალი თოფ-იარაღი დარჩენიათ.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე შემდეგი: ქვალონის წმინდა გიორგის ახლად აშენებულ ეკლესიის (რკინის გზის სადგურის მახლობლად,) კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს ამ ეკლესიის ასაშენებლად და შესამკობად შემომწირველთ ფულად თუ ნივთებით: 1) კატო აბდუშელიშვილისას ლოლუას ასულს მღვდლის სამოსელი, ღირებული 70 მან., 2) სირმა დეისაძისას ლოლუას ასულს—დაფაბინა, ღირებული 20 მან., 3) თავადს ანტონ ქოჩაქიძეს—50 მან., 4) თ-დს ნიკო ქოჩაქიძეს—25 მან., 5) ნიკო დგებუაძეს—25 მან., 6) თავადს ვლადიმერ ქოჩაქიძეს—50 მან., და მონაწილეობის მიღებისათვის, როგორც წევრი კომიტეტისა, 7) ფოთის ვაჭარს კოსტა რუხაძეს—კანკელის შემოწირვისათვის, ღირებული 40 მან., 8) ვასილ ესებუას გუმბათის სახურავის ცინკის შემოწირვისათვის, ღირებული 30 მან. და 9) ვაჭარს გერასიმე ხუხიას 10 მან. ფულად შემოწირვისათვის, აგრედვე კანკელის მხატვარს დავით ისაკაძეს შეღავათის მიცემისათვის.

კომიტეტის მინდობილობით წევრთაგანი საქმის მწარმოებელი

ალექსი ბეჟანის ძე დეისაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფელდშერის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის, ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. კირტუმოვი.

(თ. 1037.62)

სასწრაფო დეპეშა ამერიკიდან. გადაუჯდომლად ამერიკაში. კოველიდან ამერიკამდე 12 დღეში. საუკეთესო და უსწრაფესი საფოსტო-სახალხო გემები გემთ-ამგებ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი: უმავთულო ტელეგრაფი, ელექტრონის განათება, ჰაერის საწმენდი და სხვა, ფართე სასადილო, ჭამა დღეში ოთხჯერ, მუსულმანთათვის შესაფერი საჭმელები, საკუთარი ფართე ტახტები, მგზავრთა სურვილისამებრ ცალკე კაიუტები, ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები უმავთულო ტელეგრაფით, მუსიკა და მთელი მოგზაურობის დროს გართობა, გაზეთები და ბიბლიოთეკა.

საზღვარ-გარეთის პასპორტი ღირს 17 მ. 50 კ. ჩვეულებრივ პასპორტს და სოფლის საზოგადოების განაჩენს, საბოქაულოს უფროსის მიერ შემოწმებულს, რომ საზღვარ-გარედ წასასვლელად არა გაბრკოლებთრა. თუ პასპორტს დააბრუნებთ ფული უზრუნველყოფილია.

საგანგებო ცნობა. ვიწვევთ ინტელიგენტ აგენტებს ჯამაგირით ან საკომისიო ჯილდოთი.

ყოველგვარს ცნობებს ვიძლევი უფასოდ, **კოველის სააგენტო აღმოსავლეთ-აზიის გემთ მიმოსვლისა.**

გ. კოველი, ვოლინის გუბერნია.

Метцль 81317. (4.1267.3)



სილამაზესა და სინორჩეს აძლევს ყოველ ქალის სახეს!

კრემი კაზიმი მეტამორფოზა

ძირიანად სპობს ფერი-მჭამელას, ჭორფლსა, მზის ნამწვს, ძიძიბებს, ნაოჭებსა და სხვა ნაკლს სახისას.

Метцль. 36770.

იშ. სავ. და სამრ.

(3.1305.1)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606"—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.66)

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმლინგი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11 1/2—12 1/2 სთ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ,—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606"-ით. (10—1253—6)

გამოცდილ მასწავლებელ ქალ-ვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის**; სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფელდშერო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებლებისათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად**, აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად; **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუჟნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—12 5—6

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. ბაბაშვილისა.

იყიდება ლიმონადის ქარხანა

„შვეიცარია"

✦ **ნაძალადევში** ✦

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ.**, **№ 3, კავთიაშვილს.** (25—492—6)

— ლინეიკით მიმოსვლა —

ტფილისიდან [illegible]

(1 მარტყოფის თავზე, [illegible])

თიბათვიდან

ყოველ შაბათ-კვირა.

ფასები: ტფილისიდან ლვთაებამდე სულზე ორი მანათი, ლვთაებიდან ტფილისამდე სულზე ექვს აბაზი.

ბილეთები იყიდება: ნიკოლოზის მოედანზე (ჩუღურეთში), ასლანიანცის საკანდიტროში, ადონაკოვის სახლი № 1.

სხვა დღეებშიაც მსურველთ შეუძლიანთ იქირაონ ლინეიკა მორიგებით. (3—495—3)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—73)

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

შეუშხეუნა **„ჩვენი გემო"** კვასი

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ" თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან". ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო"** და თუ „გემოს" სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო"** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.8)

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,

„კოლხიდა" და „თამარა"

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37. 166.18)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულოვის

წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ^სა.^

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს,

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1160.23)

მაღაზიისა და სახელოსნოს

საფუძვლიან გადაკეთების გამო

საფარიანცისა და ტერ-საკოვის

პარიზულ მზა ტანისამოსის

მაღაზიაში

დანიშნულია 21 მაისიდან 1912 წ. არაჩვეულებრივის ფას დაკლებით

უდიდესი იაფი ვაჭრობა.

ვაჭრობის დათავების შემდეგ **დროებით** მაღაზია დაიკეტება.
გოლოვინის პროსპექტი, სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

ტელეფონი № 258.

(3—467—3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა".